თემა 15

შინაური ცხოველები და ფრინველები

животные и птицы (Домашные)

ამოცანები:

- ვასწავლოთ ქართულის, როგორც მეორე ენის შემსწავლელ მოსწავლეებს, შინაური ცხოველების სახელები ქართულად.
- მარტივი შეკითხვების დასმა კითხვითი სიტყვის - ***რა?***-ს გამოყენებით.
- პასუხი არის ზმნის შემოკლებული (-ა) ფორმით (ძაღლია, კატაა, მამალია...).

გაკვეთილის თემა:

1. გიორგი და ლიზა ფერმაში არიან და საუბრობენ ცხოველების შესახებ.
2. ტექსტი: **გიორგი სოფელში**

გიორგი თბილისში ცხოვრობს. გიორგი სოფელში ჩავიდა
ბაბუ გენაცვალოს!!!- ლუღლუღებს ბაბუ;
აუ, აუ! - ყეფს ძაღლი,
მიაუ, მიუ!, - კნავის კატა,
ყიყლიყო! - ყივის მამალი,
კა-კა-კა! - კაკანებს ქათამი,
ყვიტ,ყვიტ! - ყვიტყვიტებს ინდაური
ჭიკ, ჭიკ! - ჭიკჭიკებს ჩიტი
იოჰოჰო! - ჭიხვინებს ცხენი
ღრუტ, ღრუტ! - ღრუტუნებს ღორი
მუუუუუუ, მუუუუუუუ!- ბღავის ძროხა
ბეეე, ბეეე!- კიკინებს თხა
ბუუუუუუუუუუ, ბუუუუუუუუ! - ბუბუნებს ხარი
რა ამბავია? - ქოთქოთებს ბებო.
ყველას უხარია გიორგის სტუმრობა.

ლექსიკა	ძირითადი ფრაზები/წინადადებები
• ცხოველი • ძაღლი • კატა	• ეს რა ცხოველია? • ძაღლია. • გიყვარს ძაღლები?

• ღორი • ძროხა • ცხვარი • ქათამი • მამალი • იხვი	• კი. • მე არა.

რესურსები:

ბანერი - 8. შინაური ცხოველები;

კარტები-ნახატები:

1. ძაღლი,
2. კატა,
3. ღორი,
4. ძროხა,
5. ცხვარი,
6. ქათამი,
7. მამალი,
8. იხვი